ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 4

24 ნოემბერი 2017 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; თემურ გიორგაძე; ალექსანდრე ხუჯაძე; ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინახსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღის წესრიგში დგას ერთი საკითხი.

1. ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა №36-ში (საკ/კოდი №01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

კომისიის წევრთა მიერ დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ირაკლი თავართქილაძემ. მან აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ.თბილისში, ცაიშის ქუჩა №36-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ/კოდი: №01.16.03.010.009) იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროით ფლობენ და სარგებლობენ აღხიშნული ქონებით. გამგეობის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის გათვალისწინებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების გადაცემა დაინტერესებულ პირთათვის (27 მოქალაქე- საერთო ფართით 1353,59 კვმ) სიმბოლურ ფასად 1 ლარად.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს: ლევან დარახველიძემ, ირაკლი ნადირაძემ, ირაკლი ზარქუამ.

მათ შეკითხვებზე პასუხები გასცეს ირაკლი თავართქილაძემ და ქვარა ჩართოლანმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკრებულომ აგვისტოს თვეში მიიღო საკითხთან დაკავშირებით განკარგულება, მაგრამ წინასაარჩევნო სიტუაციიდან გამომდინარე მოქალაქეებთან ხელშეკრულების დადება ვერ მოხერხდა და დაირღვა ხელშეკრულების გაფორმების ვადები. გამომდინარე აქედან, ასევე იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად შეიცვალა თბილისის მთავრობა საკითხი განხილული იქნა ახლიდან.

დასასრულს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე -7 , თავი შეიკავა - ირაკლი ნადირაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯტო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეფასა და გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა №36-ში (საკ/კოდი №01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა